ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „დიასახლისი” ტელ: 577-02-77-88; 599-18-12-21; 599-16-10-50.

საფუძველი: 10.09.2013 წ. №12/13253115-16

მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ში ხომლელის ქ №3-ის მოპირდაპირედ

საკ.კოდი: №0119.20.009.091

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 30.12.2001წ. №20/269; 02.04.2003 წ. №6/72 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ფუნქციური დანიშნულება: სავაჭრო ობიექტი (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (27.09.2013) დადგინდა:

დარღვევები:

გაზრდილია სარდაფის სართულის სიმაღლე 0.3 მ-ით. გაზრდილია შენობის სიგრძე „ა-ა” ღერძზე 3 მ-ით, ხოლო „ბ-ბ” ღერძზე 4-2 მ-ით. გაზრდილია ასევე შენობის სიგანე სარდაფის და I სართულზე სიგანე 1.4 მ-ით, ხოლო II სართულის სიგანე კონსოლით გადმოსვლის ხარჯზე გაზრდილია 2.6 მ-ით, რის გამოც გაზრდილია შიდა ფართი სულ 170 კვ.მ-ით. სარდაფის სართულზე „ა-ა” ღერძის გარეთ ამოღებულია გრუნტი და შექმნილია სულ 60 კვ.მ შიდა ფართი „1-2” ფასადის მხარეს როგორც შიდა ასევე +0.00 ნიშნულზე ასასვლელი გარე კიბეებით, ფანჯრები გისოსებით, ფრამუგებით და კარებით. სარდაფში გაუქმებულია +0.00 ნიშნულზე ასასვლელი შიდა კიბე. +0.00 ნიშნულზე შიდა კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი, მოწყობილია „1-1” ღერძის გარეთ და შეცვლილია მისი კონფიგურაცია. ასევე დამატებით მოწყობილია 2 შიდა კიბე. „ა-ა” ღერძზე გასწორებულია კედლის ტეხვები. აღნიშნული ღერძის გარეთ შენობის მთელ სიგრძეზე მოწყობილია გარე კიბეები და ბაქნები. +3.95 ნიშნულზე შენობის შუაში გაზრდილია ვიტრაჟების მრუდე კედლის სიგანე 4 მ-ით.

„1-2” ფასადზე: გაზრდილია ვიტრაჟების გაბარიტები, რაოდენობა და შეცვლილია მათი ნახატი. გაუქმებულია ლითონის კონსტრუქციის საჩრდილობლები.

„2-1” ფასადზე: მოწყობილია ფრამუგები გისოსებით და წყალშემკრები მილები. „1-1” ღერძთან მოწყობილია ფარდაჟალუზი.

ფასადებზე მოწყობილია კონდიციონერები და აირგამწოვი მილები. შეცვლილია შენობის სახურავის კონფიგურაცია და „1-2” ფასადის მხარეს მოწყობილია 1.2 მ სიმაღლის პარაპეტი.

„ა-ბ” ფასადის მხარეს +3.95 ნიშნულზე მოწყობილია კარი საჩრდილობლით და **კიბის საფეხურით, რომელიც ცდება წითელ ხაზს.**

შეამოწმა: დ.მანჯგალაძე